შუახევის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-29
28/01/2019

29-07-4-201901280947

შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სხვაგვარად განკარგვისა და სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტისა საფუძველზე **ვბრძანებ:**

1. შეიქმნას შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სხვაგვარად განკარგვისა და სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისია შემდეგი შემადგენლობით:

1.1. ომარ ტაკიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;

1.2. ანზორ ცეცხლაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო - საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

1.3. დავით დავითაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის უფროსი, კომისიის წევრი;

1.4 შოთა აბაშიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკის, არქიტექტურისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის ქონების, მიწის მართვისა და ბუნებრივი რესურსების განყოფილების უფროსი, კომისიის წევრი;

1.5. რამინ ფუტკარაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის წევრი;

1.6. პაატა დავითაძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მე-2 კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, კომისიის მდივანი;

1.7. მირიან აბაშიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიული და სამანდატო-საპროცედურო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, კომისიის მოწვეული წევრი;

1.8. ჯიმშერ აბაშიძე - შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის იურიდიული და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი, აუქციონატორი.

2. კომისიის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს კომისიის თავმჯდომარის მოადგილე.

3. კომისიის სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება კომისიის წევრთა ნახევარზე მეტი.

4. კომისიის სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება სხდომაზე დამსწრეთა ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

5. კომისიის მუშაობას კონტროლს უწევს და მისგან ანგარიშს ღებულობს შუახევის მუნიციპალიტეტის მერი.

6. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შუახევის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების პრივატიზების, სხვაგვარად განკარგვისა და სააუქციონო მუდმივმოქმედი კომისიის შექმნის შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 20 აპრილის №06-253 ბრძანება.

7. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება გამოქვეყნებიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი ქ. №658.

8. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ფუტკარაძე

მუნიციპალიტეტის მერი

ხელმძღვანელობა